თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 4 ივლისი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. თემური ქოჩაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. ივანე ჩუბინიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვნეტაძე, 9. ჯემალი ისაკაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. მერაბი ბასილაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218011, 29.06.2022 წ.).

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218166, 30.06.2022 წ.).

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტემბერს N46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2024 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს.

დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტის დამატებით:

1. **ქ. თერჯოლაში ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.**

აღნიშნული გზის მონაკვეთი წარმოდგენს მჭიდროდ დასახლებული გზის ნაწილს, რომელიც თავისი დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, გზის მონაკვეთებზე გადაადგილება გაძნელებულია, პროექტის ფარგლებში მოხდება არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16 სმ, მონოლითური რკინაბეტონის სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია მერიის მიერ და სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 126644 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კ. კაცაძემ, გ. ვერულაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218011, 29.06.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნოთერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ავტომანქანები, რომლებიც მათი

მდგომარეობიდან გამომდინარე გამოუსადეგარია შემდგომი გამოყენებისათვის. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა.აღნიშნული ქონების ტექნიკური მდგომარეობისა და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა:

1. MERCEDES-BENZ E 230 (სახ.ნ. GML-331, 1996 წ.) – 2200 ლარი;
2. MERCEDES-BENZ E 230 (სახ. ნ. MM-376-MP, 1996 წ) – 2500 ლარი;
3. GAZ 3307-1-ACh. სპეციალიზებული (სახ.ნ. GCC-974, 2000 წ.) -3500 ლარი;
4. GAZ 53 G6 OTA 3,7-01. სპეციალიზებული (სახ.ნ. SF-781-FS, 1989 წ) – 3000 ლარი;
5. VAZ 21061. სედანი. მსუბუქი (სახ.ნ. DAS-888) – 500 ლარი

მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა ზემოაღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელდეს უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული საორიენტაციო თანხები.

აზრი გამოთქვეს: ბიძინა ბუცხრიკიძემ, ფრიდონ გვენეტაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიურობზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218166, 30.06.2022 წ.).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე